ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N320
SMP180002779

21.12.2018 წელი

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯეოონო", (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის ონისე საბიაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " საქართველოს კანონის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს N3122 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, გორის, წალკის სასამართლოებში და ლილოს არქივში დაზიანებული გათბობის სისტემის შეკეთების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (CVP - 50720000)

3.2 შესყიდვის ობიექტის აღწერა და ფასები მოცემულია დანართი N1 -ით მოცემულ ხარჯთაღრიცხვაში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 12392,44 ლარს, მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯისა და კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - კობა სეფაშვილი;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ალექსი ლოლიშვილი;

7. მიწოდების ვადა, ადგილი და გარანტია

7.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა ადგილი: ქ.წალკა 25 მარტის ქ N66 (წალკის მაგისტრატი სასამართლო), ქ.გორი ს.ჯორბენაძის ქN30 (გორის რაიონული სასამართლო) და ქ.თბილისი დიდი ლილო (დეპარტამენტის არქივი);

7.3 კონკრეტული გამოცვლილი ნაწილის საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელს, შეკეთებული ნაწილის საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 6 თვეს.

7.4 ხელშეკრულების ვადიდ ამოწურვა გავლენას არ ახდეს საგარანტიო ვალდებულებებზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

8.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

8.4. დაფინანსების წყარო: 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;

9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;
10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი შეწყვეტს ხელშეკრულებას და დააკისრებს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
12.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02 %-ის ოდენობით.
12.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14.დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს
საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების
დეპარტამენტი
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ს/ნ 203860642

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

მიმწოდებელი:
შპს „ჯეოონო"
მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის 164
სს საქართველოს ბანკი ს/ნ 416292185
კოდი:BAGAGE22
ა/ა: GE83BG0000000894947700

დირექტორი
ონისე საბიაშვილი

დანართი 1 (ხარჯთაღრიცხვა)

№	დასახელება	განზ.	რაოდ.	ნაწილების ერთ. ფასი	მომსახურების სახეობის ერთელის ფასი (ლარი)	ჯამი	სულ ჯამი
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
	გორი						
1	ტექნიკური დათვალიერება	ც	1	0.00	126.33	126.33	126.33
2	ამორტიზირებული ქვაბის დემონტაჟი	ც	1	0.00	157.92	157.92	157.92
3	ქვაბი ფოლადის 100 000 კკალ/სთ	ც	1	1642.35	189.50	1831.85	1831.85
4	მულტიბლოკი MBDLE 407	ც	1	442.17	189.50	631.67	631.67
5	გაზის სანთურა NG 120 (60-120 Kw) დემონტაჟი-მონტაჟი	ც	1	0.00	126.33	126.33	126.33
6	საცირკულაციო ტუმბო UPS 50-180 F დემონტაჟი-მონტაჟი	ც	2	0.00	157.92	157.92	315.84
7	სანთურის გაწმენდა	ც	1	0.00	189.50	189.50	189.50
8	50*8,3მმ მინაბოჭკოვანი მილი PN25	მ	5	8.84	1.26	10.10	50.50
9	50მმ სფერული ვენტილი	ც	1	15.79	6.32	22.11	22.11
10	50-32მმ გადამყვანი	ც	3	3.16	1.26	4.42	13.26
11	50-40მმ გადამყვანი	ც	2	3.16	1.26	4.42	8.84
12	50მმ ქურო	ც	3	3.16	1.26	4.42	13.26
13	პლასტმასის სამკაპი 40მმ	ც	7	9.48	3.16	12.64	88.48
14	მუხლი (პლასტმასის) 90° 40მმ	ც	9	9.48	3.16	12.64	113.76
15	მილტუჩი PN16 - DN 80	ც	2	50.53	25.27	75.80	151.60
16	63 1 " ამერიკანკა გ/ხ	ც	2	22.11	9.48	31.59	63.18
17	75-50მმ გადამყვანი	ც	2	9.48	3.16	12.64	25.28
18	75მმ სფერული ვენტილი	ც	4	25.27	12.63	37.90	151.60
19	63-50მმ გადამყვანი	ც	4	6.32	3.16	9.48	37.92
20	63-40მმ გადამყვანი	ც	4	6.32	3.16	9.48	37.92
21	40*6,7მმ მინაბოჭკოვანი მილი PN25	მ	1	5.69	1.26	6.95	6.95
22	40-32მმ გადამყვანი	ც	2	6.32	3.16	9.48	18.96
23	40მმ ქურო	ც	1	1.26	0.95	2.21	2.21

24	40 1 1/4" ამერიკანკა გ/ხ	ც	5	9.48	6.32	15.80	79.00
25	32*5,4მმ მინაბოჭკოვანი მილი PN25	მ	4	3.16	1.26	4.42	17.68
26	32მმ სფერული ვენტილი	ც	2	9.48	3.16	12.64	25.28
27	32-25მმ გადამყვანი	ც	2	0.63	0.63	1.26	2.52
28	32-20მმ გადამყვანი	ც	1	0.63	0.63	1.26	1.26
29	პლასტმასის სამკაპი 32მმ	ც	2	12.63	3.16	15.79	31.58
30	ქურო 32მმ	ც	4	0.63	0.32	0.95	3.80
31	მუხლი (პლასტმასის) 90° 32მმ	ც	4	7.58	3.16	10.74	42.96
32	25*4,2მმ მინაბოჭკოვანი მილი PN25	მ	16	2.53	1.26	3.79	60.64
33	ვინტილი პლასმასის სფერული 25მმ	ც	4	6.32	3.16	9.48	37.92
34	25-20მმ გადამყვანი	ც	5	0.63	0.63	1.26	6.30
35	პლასტმასის სამკაპი 25მმ	ც	6	11.37	3.16	14.53	87.18
36	ქურო 25მმ	ც	5	0.51	0.32	0.83	4.15
37	მუხლი (პლასტმასის) 90° 25მმ	ც	10	6.32	3.16	9.48	94.80
38	20*3,4მმ მინაბოჭკოვანი მილი PN25	მ	4	1.45	1.26	2.71	10.84
39	ვინტილი პლასმასის სფერული 20მმ	ც	6	5.05	3.16	8.21	49.26
40	პლასტმასის სამკაპი 20მმ	ც	3	9.48	3.16	12.64	37.92
41	ქურო 20მმ	ც	4	0.51	0.32	0.83	3.32
42	მუხლი (პლასტმასის) 90° 20მმ	ც	3	6.32	2.53	8.85	26.55
43	20 1/2" მუხლი შ/ხ	ც	2	2.53	0.63	3.16	6.32
44	20 1/2" ქურო გ/ხ	ც	4	1.90	0.63	2.53	10.12
45	20მმ ხუფი	ც	2	0.32	0.63	0.95	1.90
46	ავტომატური ჰაერ გამშვები	ც	1	22.11	9.48	31.59	31.59
47	დამცავი სარქველი 3/4" 6 bar	ც	1	22.11	9.48	31.59	31.59
48	რადიატორის დაჰაერება	ც	87	0.00	6.32	6.32	549.84
49	გათბობის ქვაბის ჩართვა, სისტემის რევიზია	ც	1	0.00	189.50	189.50	189.50
50	საკვამურის აღდგენა ახლით	მ	1	94.75	63.17	157.92	157.92
51	ამწე კალათა	სთ	2	94.75	0.00	94.75	189.50
52	ტრასპორტირება	1კმ	86	0.51	0.51	1.01	86.86
	ჯამი						**6063.37**
	წალკა						
1	ტექნიკური დათვალიერება	ც	1	0.00	126.33	126.33	126.33
2	600*1000 PKKP-22 დემონტაჟი-მონტაჟი	ც	4	0.00	31.58	31.58	126.32
3	ქვაბის გაწმენდა	ც	1	0.00	157.92	157.92	157.92

4	სანთურის გაწმენდა	ც	1	0.00	189.50	189.50	189.50
5	ელექტრო ბლოკი LGB 21	ც	1	442.17	94.75	410.59	410.59
6	რადიატორის გარეცხვა	ც	4	0.00	9.48	9.48	37.92
7	რადიატორის დაჰაერება	ც	14	0.00	6.32	6.32	88.48
8	ვენტილი პირდაპირი შემსვლელი	ც	4	11.37	6.32	17.69	70.76
9	გადამყვანი მანომეტრის 1/4" - 1/2"	ც	10	6.32	3.16	9.48	94.80
10	20 1/2" მუხლი გ/ხ	ც	1	2.53	0.63	3.16	3.16
11	ქურო 20მმ	ც	2	0.51	0.32	0.83	1.66
12	საფართოებელი ავზი 10 bar 35 ლ	ც	1	189.50	50.53	240.03	240.03
13	20*3,4მმ მინაბოჭკოვანი მილი PN25	მ	2	1.45	1.26	2.71	5.42
14	მუხლი (პლასტმასის) 90° 20მმ	ც	3	6.32	2.53	8.85	26.55
15	ვინტილი პლასმასის სფერული 20მმ	ც	1	5.05	3.16	8.21	8.21
16	32 1" ამერიკანკა შ/ხ	ც	1	9.48	3.16	12.64	12.64
17	პლასტმასის სამკაპი 20მმ	ც	1	9.48	3.16	12.64	12.64
18	20მმ ხუფი	ც	1	0.32	0.63	0.95	0.95
19	გლიკოლი 25°	ლ	180	12.63	6.32	18.95	3411.00
20	გათბობის ქვაბის ჩართვა, სისტემის რევიზია	ც	1	0.00	189.50	189.50	189.50
21	ტრასპორტირება	1კმ	103	0.51	0.51	1.01	104.03
	ჯამი						**5318.41**
	ლილოს არქივი						
1	ტექნიკური დათვალიერება	ც	1	0.00	126.33	126.33	126.33
2	გამშვები ავტომატი	ც	1	88.43	37.90	126.33	126.33
3	სანთურის გაწმენდა	ც	2	0.00	189.50	189.50	379.00
4	გათბობის ქვაბის ჩართვა, სისტემის რევიზია	ც	2	0.00	189.50	189.50	379.00
	ჯამი						**1010.66**
	სულ ჯამი						**12392.44**

შ.პ.ს ,, ჯეოონო"-ს დირექტორი: ო. საბიაშვილი

სსიპ საერთო სასამართლოების
მთავარი სპეციალისტი: კ. სეფაშვილი

ხელწერილი

21. 12.2018

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემო ხელმომწერნი, ვადასტურებთ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, გორის, წალკის სასამართლოებში და ლილოს არქივში დაზიანებული გათბობის სისტემის შეკეთების მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

(სახელი, გვარი)	*(ხელმოწერა)*
გიორგი კაკაურიძე	
ალექსი ლოლიშვილი	
მარიანა გამჯაშვილი	
ნათია თელია	
კობა სეფაშვილი	